

საგამოცდო ტესტების ნიმუშები ალერგოლოგიასა და კლინიკურ იმუნოლოგიაში

2022-2023 სასწ. წ.

1. ორგანოებსა და ქსოვილებს, რომლებიც შეიცავენ მუსკარინულ ქოლინორეცეპტორებს მიეკუთვნება:

- ა) ლიმფური კვანძები;
- ბ) ღვიძლი;
- გ) ბრონქები;
- დ) ფარისებრი ჯირკვალი;
- ე) ფილტვები.

2. იმუნურ პასუხში მაკროფაგის როლია:

- ა) ანტისხეულების წარმოქმნა;
- ბ) ვირუსინფიცირებული სამიზნე უჯრედების ლიზისი;
- გ) ციტოტოქსიკური “T” უჯრედების სუპრესია;
- დ) ანტიგენის დამუშავება და ანტისხეულებისათვის წარდგენა.

3. ჩამოთვლილი ალერგენებიდან ატოპიური ასთმის ყველაზე ხშირი მიზეზია:

- ა) ოთახის მტვრის ტკიპები;
- ბ) ობის სოკოს სპორები;
- გ) ბაქტერიები;
- დ) ჰელმინთები.

4. პოხიერი უჯრედების გამააქტივებელ “IgE”-დამოკიდებულ ნივთიერებებს მიეკუთვნება:

- ა) მიორელაქსანტები;
- ბ) ოპიოიდები;
- გ) რენტგენსაკონტრასტო ნივთიერებები;
- დ) ნეიროპეპტიდები.

5. ლორწოვანის სეკრეცია მატულობს შემდეგი ნივთიერებების მოქმედებისას:

- ა) თრომბოქსანების;
- გ) პეროქსიდაზების;
- დ) ჰისტამინის;
- ე) ბრადიკინინის.

6. მიუთითეთ, ალერგიული რეაქციების რომელი ტიპით მიმდინარეობს ალერგიული კონტაქტური დერმატიტი:

- ა) მესამე - იმუნოკმპლექსებით მიმდინარე ალერგიული რეაქცია;
- ბ) პირველი - რეაგინული ტიპის ალერგიული რეაქცია;
- გ) მეორე - ციტოტოქსიკური ტიპის ალერგიული რეაქცია;
- დ) მეოთხე - დაყოვნებული ტიპის ალერგიული რეაქცია.

7. ატოპიური ბრონქული ასთმის მქონე პაციენტებისთვის დამახასიათებელია:

- ა) დადებითი კანის სინჯები ინფექციურ ალერგენებზე;
- ბ) ბებერის ტიპის კანის რეაქცია შენობისშიდა ალერგენებზე;
- გ) ინფილტრატის ტიპის კანის მოგვიანებითი რეაქცია;
- დ) ლიმფოციტების დადებითი ბლასტრანსფორმაციის რეაქცია.

8. რომელ მდგომარეობათა პათოგენეზში არ თამაშობს ჰისტამინი გადამწყვეტ როლს:

- ა) ვიბრაციული ანგიონევროზული შეშუპება;
- ბ) დერმოგრაფიზმი;
- გ) ქოლინერგიული ურტიკარია;
- დ) მემკვიდრული ანგიონევროზული შეშუპება.

9. ფსევდოალერგიული რეაქციებისათვის დამახასიათებელია ყველა ჩამოთვლილი, გარდა შემდეგისა:

- ა) ალერგენების რაოდენობა, რომლებიც იწვევს რეაქციას, შედარებით დიდია;
- ბ) უარყოფითია კანის სინჯები სპეციფიკურ ალერგენებზე;
- გ) დადებითია კანის სინჯები სპეციფიკურ ალერგენებზე;
- დ) თანმხლები ატოპიური დაავადებები იშვიათია.

10. 13 წლის ბიჭს აქვს რინიტი და თვალების ქავილი ყოველი წლის ზაფხულის დასაწყისში. მცენარის ყვავილის მტვრის ალერგენით ჩატარებული კანის სინჯიდან 15 წუთში მას განუვითარდა ერთემა და 15 მმ-იანი ბებერა. აღნიშნული რეაქცია შედეგია:

- ა) კანის სისხლძარღვებში ანტიგენ-ანტისხეულის კომპლექსების ფორმირების;
- ბ) უცხო ცილების მოხვედრის საპასუხოდ ფაგოციტების მიგრაციის;
- გ) პოხიერი უჯრედებიდან ჰისტამინის გამოთავისუფლების;
- დ) სენსიბილიზებული ლიმფოციტების მიერ ლიმფოკინების გამოთავისუფლების;
- ე) პოხიერი უჯრედებიდან ლიმფოკინების გამოთავისუფლების.,